ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N4

დაბა ქედა 20 ივნისი, 2025 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

20.06.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;**

მომხსენებელი: შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს
დირექტორი მალხაზ დიასამიძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 17 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი N:10/95251681-95; განცხადების თარიღი:17.06.2025) შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია“ განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისს N:გ-95.95251508 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკითხზე „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განისაზღვრა 2025 წლის 19 ივნისი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი: 95-95251536; წერილის თარიღი 02.06.2025) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95251671-95; წერილის თარიღი:16.06.2025) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შენიშვნები გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება შენიშვნების გათვალისწინებით.

3. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ააიპ "ქედის სასპორტო სკოლი" - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ "ქედის სასპორტო სკოლი" - ს დირექტორი
2	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნანა ბერიძე